## ხელშეკრულება № 242.

### სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (მომსახურების შესყიდვა)

**ქ. გორი** **14 დეკემბერი 2015 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) **მისი დირექტორის გულნარა ბზიშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417883044)** და მეორეს მხრივ **ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი** მისი **დირექტორი ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით (საიდენტიფიკაციო კოდი: 417883035),** (შემდგომში მომსახურების მიმწოდებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: 2015 წლის 15 დეკემბრის ღონისძიებისთვის ,, შეხვედრა ლიტერატოტთა და ხელოვანთა კავშირთან" ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მცირე დარბაზის ქირავნობა.

### *2. შესყიდვების ობიექტი*

2.1 შესყიდვის (მომსახურების) ობიექტია: დარბაზის ქირავნობა (CPV-70200000)

### *3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება*

3.1 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს – **250.00 ლარს (ორასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი)**

### *4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს

### *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება მოთხოვნის გაკეთებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან სასაქონლო ზედნადები)

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### 7. *ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

7.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2 შესყიდვის (მოსახურების ) ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის მომწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3 ანგარიშწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არა უმეტეს 30 (ოცდაათი) საბანკო დღის ვადაში.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს: -- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობები.

8.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:- მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვლისწინებული პირობების შესაბამისად.

- უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3 მიმწოდებელს უფლება აქვს: - მოსთხოვოს შემსყიდველსშესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი მოთხოვნის გაკეთებიდან არა უგვიანეს 10 დღისა.

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთაA პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შსაბამისად.

9.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შუძლია დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მისი ხელის მოწერის დღიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადით.

## *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია. თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *12. ფორს-მაჟორი*

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიაანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილებრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრუელბის შესრულებაზე.

12.2 თუ სახელშეკრუელბო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნოებებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარარელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი.(გულნარა ბზიშვილი )

14.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელსაყრელ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4 ხელშეკრუელბა შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი; ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

**მიმწოდებელი:**

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი; ს/კ 417883035

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. ,,სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

ა.ა. 741027019

მომწოდებელი: ვ. შუღლიაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

( მომსახურების შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი 15 დეკემბერი 2015 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მისი **დირექტორი გულნარა ბზიშვილის სახით** (ს/კ 417883044) „შემსყიდველად" წოდებული და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის **მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი** მისი დირექტორი ვლადიმერ შუღლიაშვილის სახით **(ს/კ: 417883035)** „გამყიდველად" წოდებული, ვადასტურებთ, რომ **2015 წლის** 14 დეკემბრის **ხელშეკრულების** (სახელმწიფო შესყიდვის, მომსახურეობის შესყიდვის შესახებ) თანახმად „გამყიდველმა" გაუწია მომსახურება, კერძოდ მცირე დარბაზის ქირავნობა, ფასით 250.00 (ორასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

ეს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია ორ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი გადაეცემა ჩამბარებელს.

**შემსყიდველი:**

ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი; ს/კ 417883044

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. "ლიბერთი ბანკი"

ბანკის კოდი: LBRTG22

ა.ა. GE02LB0115171175191000

შემსყიდველი: გ. ბზიშვილი

**მიმწოდებელი:**

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი; ს/კ 417883035

მის: ქ.გორი მშვიდობის გამზ. 12/ა

საბანკო რეკვ.: ს.ს. ,,სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

ა.ა. 741027019

მომწოდებელი: ვ. შუღლიაშვილი